ფუნჯით და ფანქრით ხელში...

მხატვარ გურამ დოლიძის "ავტობიოგრაფიაში", რომელიც 2003 წ. დაიწერა, ვკითხულობთ: "ალბათ ფუნჯით და ფანქრით დავიბადე, აღარც მახსოვს როდის დავიწყე ხატვა..." ფუნჯი და ფანქარი მართლაც იყო ცნობილი ქართველი გრაფიკოსის, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორის, წიგნის ილუსტრატორის, კარიკატურისტის, ფერმწერის, მოქანდაკის ყველაზე დიდი სიყვარული და შინაგანი სამყაროს მხატვრული თვალთახედვის, ფილოსოფიური აზროვნების ინსტრუმენტი. ის ხატავდა ყველგან და ყოველთვის, სიცოცხლის ბოლო დღემდე, მუდამ ცვლიდა და განაახლებდა საკუთარ პალიტრას, ფორმას და სტილს ფერწერულ ტილოებში თუ დეკორატიულ-მონუმენტურ ნამუშევრებში, მცირე ზომის ქანდაკებებში თუ გრაფიკულ ჩანახატში.

22 მაისს ბატონი გურამი 80 წლის გახდებოდა. იუბილეს ვერ მოესწრო. არც დამსახურებულ ჯილდოებს, პატივისცემას, ალბომს... სიკვდილის წინ შევხვდი, გული გადამიშალა, ძალზედ აღელვებული იყო.

ღამე გარდაიცვალა. ჰაერი არ ყოფნიდა, ჩაიკეცა ჯარისკაცივით საგუშაგოზე და საყვარელ თბილისს, მეუღლეს გადახედა. ალბათ წამებში გაიელვა გონებაში წარსულიც, ჩავარდნები და მიღწევები. ახლობლები, ძეგლები, ყველაფერი, რაც უყვარდა.



წმ. ნინო. ქაღალდი, გუაში
St. Nino. Paper, gouache

ბატონი გურამის ცხოვრებაც და შემოქმედებაც დიდი სიყვარულით და შრომით იყო გასხივოსნებული. პედაგოგებმა — სერგო ქობულაძემ, ვასილ შუხაევმა, დავით ციციშვილმა და სხვებმა დიდი ხელოვნების საკრალური დედააზრი გაუმხილეს — გზა იდეალისკენ ეკლიანია და რთული, შეიცავს მუდმივ შემოქმედებით ზრდას, ტიტანურ შრომას, თავგანწირვას, აზროვნებას ფუნჯით, ფერით, მასალის ფორმით...

გურამ დოლიძეს უყვარდა ექსპერიმენტი, სხვადასხვა დარგებში: მცირე პლასტიკა, ფერწერა, გრაფიკა, წიგნის ილუსტრაცია, კარიკატურა — "ბაგრატიონი№, "რუსული ტროიკა", "მედიცინა", "სატანის ზეიმი საქართველოში"... მაგრამ ყოველთვის, ჟანრის მიუხედავად, რჩებოდა ხაზის დიდოსტატად, რომელიც ჰარმონიულად შემოფარგლავდა სივრცეს, გადმოგვცემდა პერსონაჟის გულისთქმას, პოეტურ სწრაფვას იდეალისაკენ, გურამ დოლიძის გრაფიკულ პორტრეტში:

ვახტანგ გორგასალი, მეფე მირიანი, გიორგი ბრწყინვალე, წმ. ნინოს შემოქმედებითი სამყაროს გაცოცხლებული გმირებია, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლას, ფიქრს სამშობლოზე, ლოცვას...

ძალზედ მოკრძალებული, თავაზიანი, თავმდაბალი შემოქმედი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე უკითხავდა სტუდენტებს გრაფიკის კურსს. ბატონი გურამ დოლიძე მკაცრი და შეუპოვარი იყო ნებისმიერი მანკიერების მიმართ. ის ვერ იტანდა კომპრომისებს, ორგულობას, ღალატს. ებრძოდა ფუნჯით და კალმით... სატანას, მაძღარ მაიმუნებს, მოღალატეებს...

გურამ დოლიძის ნამუშევრები დაცულია მრავალ მუზეუმში: ამერიკაში, რუსეთში, იტალიაში, საქართველოში.

გურამ დოლიძის სახელი შესულია ქართული ხელოვნების ისტორიაში. ის ჩვენს მეხსიერებაში დარჩა პროფესიონალიზმის, ვაჟკაცობის, თავდადების სიმბოლოდ. მას საოცრად უყვარდა ოჯახი, შვილები, აკადემია, საქართველო. მხატვარმა, პოეტმა, მოაზროვნემ, ქვეყნის ერთგულმა ჯარისკაცმა ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა!

ია ბაგრატიონ-მუხრანელი
ქართველ თავად-აზნაურთა
საკრებულოს ვიცე-წინამძღოლი

მეფე მირიანი. ქაღალდი, გუაში
King Mirian. Paper, gouache

ვახტანგ გორგასალი. ქაღალდი, გუაში
Vakhtang Gorgasali. Paper, gouache

„დიონისეს დღესასწაული“. ქაღალდი, გუაში
“Dionysus’s Fest”. Paper, gouache

შემდეგი გვერდი: „ბახუსის ცეკვა“. ქაღალდი, გუაში
Next page: “Bacchus Dance”. Paper, gouache

„ბერიკაობა“. ქაღალდი, გუაში
“Berikaoba”. Paper, gouache

„დედაკაცი შვიდთავიან ურჩხულზე“. ქაღალდი, გუაში. 1992
“Woman on the seven-headed monster”. Paper, gouache. 1992

„მასხარა და სიყვარული“. ქაღალდი, გუაში. 1977
“The Lester and love”. Paper, gouache. 1977

გუჰამ დოლიძე

კერამიკა, წიგნის გაფორმება და ილუსტრაცია, ქანდაკება, კარიკატურა, ჭედურობა, მონუმენტურ-დეკორაციული ხელოვნება. დ. 22.05.1930, თბილისი. მშობლები: თამარ კუპრაშვილი, ანდრო დოლიძე; მეუღლე — თინა დაუშვილი (1938 წ.); შვილები: ხათუნა (1959), ბიძინა (1967). სწავლობდა თსსა ქანდაკების ფაკულტეტზე კერამიკის განხრით (1950-56). პედაგოგები: ს. ქობულაძე, შ. კუპრაშვილი, გ. ჯაში, დ. ციციშვილი, ნ. გომელაური, შ. მიქატაძე. სადიპლომო ნამუშევარი — დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალის", „სოლომონ მორბელაძის" პერსონაჟთა ფაიფურის ფიგურები (ხელმძღვანელი — დ. ციციშვილი). გამოფენებში მონაწილეობს 1957 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1964 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: დ. კლდიაშვილის „სოლომონ მორბელაძის" და ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!" პერსონაჟთა ფაიფურის ფიგურები; სატირული ფიგურები: მლიქვნელი, სტილიაგა ბიუროკრატი, ყველა — ტერაკოტა (1962); ფერწერული პანო „ბაგრატიონი ბრძოლის ველზე", ქ. მოჟაისკი (1974), კაფე „ქუთაისის" ინტერიერის გაფორმება (1984); ქუთაისის სამედიცინო ცენტრის გორელიეფები „ჰიპოკრატეს სკოლა", „მედეა და იაზონი", ფერწერა „ევროპის მოტაცება", „წმინდა ნინო", წიგნის გრაფიკა: ო. კასრაძე, „ცხოვრება მესხისა", მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი, 1963 წ; სიუსაკე ენდო, „ზღვა და საწამლავი", ჯ. მარტელი, „კაცი, რომელმაც იხსნა ლონდონი", ო. პინტო, „საიდუმლო ფრონტი", 1970; კ. ბუაჩიძე, „ეზოში ავი ძაღ-

Guram Dolidze

Ceramics, design and illustration of a book, sculpture, caricature, embossing, monumental-decorative art; born in Tbilisi, 22.05.1930. Parents: Tamar Kuprashvili, Andro Dolidze; Wife – Tina Daushvili (1938); Children: Khatuna (1959), Bidzina (1967). Studied at TSAA (Tbilisi State Academy of Arts), Faculty of Sculpture, field – Ceramics (1950-56). **Pedagogues:** S.Kobuladze, M.Kuprashvili, G.Djashi, D.Tsitsishvili, N.Gomelauri, M.Mikatadze. Diploma work: faience figures of personages of D.Kldiashvili 's "Samanishvili's Stepmother", "Solomon Morbedadze" (Supervisor – D.Tsitsishvili). Participates in exhibitions since 1957. Member of the Georgia Painters' Union since 1964. **Main works:** faience figures of personages of D.Kldiashvili's novel "Solomon Morbedadze" and Illl. Chavchavadze's "Is the human-being a Man?!"; Satire figures: "Lickspittle", "Dandy", "Bureaucrat", all – terracotta (1962); Pictorial panel "Bagrationi on the battle field", city of Mojhaisk (1974), Decorative design of interior of café "Kutaisi" (1984); High-relieves of Kutaisi Medical Center "School of Hypocrites", "Medea and Jason" ; Painting: "Theft of Europe", "Saint Nino"; Book graphics: O.Kasradze "Life of Meskhi" , 1963; "Jokes of Moollah Nasredin", 1963; Siusake Endo, "The Sea and Poison", 1970; K.Buachidze, J.Marel, "A Man who saved London", 1970, O. Pinto, "Secret Front", 1970; "A

ლია", პიესები (1972); კერამიკა-ფაიფურის ლარნაკები და სასმისები, ყავის სერვიზები (1960-1965). შესრულებული აქვს ქართული კულტურის მოღვაწეთა და მწერლების მეგობრული შარჟები — აპ. ქუთათელაძე, დ. ხახუტაშვილი, ჟ. ჯაფარიძე, კ. მახარაძე, (1974-98) და სხვ., მონუმენტურ-იუმორისტული კომპოზიციები „თბილისის სამხატვრო აკადემიის პედაგოგები" (1981-1997); სამედალო ხელოვნების ნიმუშები. თანამშრომლობდა ჟურნალებთან „ზარია ვოსტოკა", „კომუნისტი", „ნიანგი". გამოფენები: პერსონალური, თბილისი (1978). მისი ნამუშევრები დაცულია ხელოვნების მუზეუმში, დ. კლდიაშვილის სიმონეთის, ი. ჭავჭავაძის ყვარლის სახლ-მუზეუმებში, აშშ, შვედეთის კერძო კოლექციებში. მონაწილეობდა ქ. სტამბულის კარიკატურისტთა საერთაშორისო კონკურსში (1994). არის საქართველოს თავადაზნაურთა საზოგადოების წევრი და მთავარი მხატვარი. მუშაობს პედაგოგად თსსა-ში (1969 წლიდან). მისი ბიოგრაფია შეტანილია სსრკ ლექსიკონში „სსრკ ხალხთა მხატვრები", ტ. III, მოსკოვი, 1982, აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი 2004).

Wicked Dog in the Yard", plays, (1972); Ceramic-faience bowls (vases) and glasses, coffee sets (1960-65). He has performed friendly caricatures of Georgian cultural workers and writers: Ap.Kutateladze, D.Khakhutashvili, U.Japaridze. K.Makharadze (1974-98), etc. Monumental-humoristic compositions "Pedagogues of Tbilisi Academy of Arts" (1981-1997); Medals' arts samples. He cooperated with the newspapers "Zaria Vostoka", "Komunisti", "Niangi". **Exhibitions:** Personal, Tbilisi (1978). His works are preserved a Georgian National Gallery, Museum of Arts, House-Museums of D.Kldiashvili in Simoneti, Ill. Chavchavadze in Kvareli, in private collections in the USA, Sweden. He participated in Istanbul International Contest of Caricaturists (1994). He is the member of Georgia Nobility Society and chief painter. He works as a pedagogue at TSAA (since 1969). His biography has been entered in the Dictionary of the USSR " Painters of the peoples of the USSR", v.II, Moscow, 1982.

UDC (უაკ) 821.353.1-1+73/75(479.22)
დ-722

გურამ დოლიძე

ფერწერა*გრაფიკა*კერამიკა*პოეზია

Guram Dolidze

PAINTING*GRAPHICS*CERAMICS*POETRY

შემდგენლები: ხათუნა დოლიძე,
ბიძინა დოლიძე

ფოტო: გიორგი მდინარაძე

დიზაინი: გიორგი წერეთელი

თარგმანი: ციური დეკანოზიშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: გვანცა მახათაძე
დავით ცვარიანი
ირაკლი ხუციშვილი

დასაბეჭდად მომზადებულია
„დივაიზ სტუდიო"-ს მიერ

DIwise studio
THE WISE SOLUTIONS
www.diwisestudio.com

© ბიძინა დოლიძე, 2010

ISBN 978-9941-0-2586-0